ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02/10/125

ქ. თბილისი 17 ნოემბერი, 2015 წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **ა(ა)იპ „თბილისის საბავშვობაგა-ბაღების მართვის სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) სააგენტოს დირექტორის თემურ თორდინავას სახით იურიდიული მისამართი მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის N29-29ა, ს/კ 404905475, სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22, ანგარიშის NGE24NB0330100200165022

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“** (შემდგომშიმიმწოდებელი) დირექტორის, რეზო კობახიძის სახით, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის ქ.,№78, ტელ: 2-96-16-83, 2-95-53-66; ს/კ: 202057219, ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ბ/კოდი: UGEBGE22, ა/ა GE48VT6500000003143602

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია კვლევითი ლაბორატორიის მომსახურების **(CPV73111000 - კვლევითი ლაბორატორიის მომსახურება)** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.2 შესყიდვის ობიექტია ცხოველური და მცენარეული წარმოშობის სურსათის ლაბორატორიული კვლევა, რომელიც უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში მიმწოდებლის ლაბორატორიაში, მისამართზე ქ. თბილისი, უზნაძის ქ., №78;

1.3 ლაბორატორიული კვლევისათვის წარდგენილი ნიმუშების ტესტირება (გამოცდა) უნდა ჩატარდეს საქართველოში მოქმედი ნორმატიული ბაზის შესაბამისად.

1.4 ასევე შესაძლებელია კვლევები ჩატარდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

1.5 თუ მოცემულ პროდუქციაზე არსებობს ცალკე ტექნიკური რეგლამენტი ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებიც.

1.6 ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს ნიმუშის მაჩვენებლების გამოცდა ხელშეკრულების დანართი N1-ში მითითებულ ვადებში და ფასებში (დანართი N1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

1.7 ლაბორატორიული გამოცდის მიზნით აღებული ნიმუში ლაბორატორიას გადაეცემა შემსყიდველის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიმართვით, რომელშიც დეტალურად იქნება მითითებული კვლევის კონკრეტული მაჩვენებლები (ერთი და/ან რამოდენიმე). შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს მხოლოდ მიმართვაში ასახული და ჩატარებული კვლევის ღირებულებას. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ააიპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის ან ნიმუშის/სინჯის ამღები უფლებამოსილი თანამშრომლის დაუყოვნებელი ინფორმირება (სატელეფონო შეტყობინებით ან ფაქსით) ნიმუშის/სინჯის გამოცდის შედეგების შესახებ, ხოლო გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობით, კვლევის დასრულებიდან 48 საათის განმავლობაში. თუ აღნიშნული 48 საათიანი ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო დღეს, გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაეგზავნოს შემსყიდველს ვადის ამოწურვიდან პირველივე სამუშაო დღეს. ანგარიშსწორების მიზნებისათვის, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული გამოცდის ოქმის ორიგინალი და მიმართვა ინვოისთან ერთად წარადგინოს შემსყიდველთან ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

1.8 ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს აკრედიტაციის პასპორტის შესაბამისი ფორმის მიხედვით ჩატარებული ტექნიკური ოპერაციის, თითოეული გამოცდა-ანალიზის, საანალიზო ნიმუშების გამოცდის ოქმების, გრაფიკების, გაზომვების, ცხრილების, ნახაზების, მიღებული პასუხების, ინსტრუმენტალური კვლევის შედეგების, შენახვა და დაცვა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ და წარმოადგინონ ისინი მოთხოვნის შემთხვევაში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4993.00 (ოთხიათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი)** ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1. მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ ააიპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ თანამშრომლები.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან 2015 წლის 25 დეკემბრამდე, დანართი N1-ის პირობების შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2.იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა მომსახურების მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა და მომსახურების სრულყოფილი შესრულება, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5.5.ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29/29ა.

5.6 მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია ააიპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ბავშვთა კვების, ჰიგიენის და სკოლამდელი აღზრდის განვითარების სამსახურის უფროსი და/ან თანამშრომლები.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების გაწევის ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. შემსყიდველს მიაწოდოს დადგენილი ხარისხითა და სტანდარტების მომსახურება;

7.4.2. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ან ნიმუშის/სინჯის ამღები უფლებამოსილი თანამშრომელის დაუყოვნებელი ინფორმირება (სატელეფონო შეტყობინებით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით tamta.amniashvili@gmail.com) ნიმუშის/სინჯის გამოცდის შედეგების შესახებ;

7.4.3. გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითდა ელექტრონული ფოსტით (tamta.amniashvili@gmail.com), კვლევის დასრულებიდან 48 საათის განმავლობაში. თუ აღნიშნული 48 საათიანი ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო დღეს, გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაეგზავნოს შემსყიდველს ვადის ამოწურვიდან პირველივე სამუშაო დღეს.

7.4.4. თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული გამოცდის ოქმის ორიგინალი და მიმართვა საანგარიშსწორებო დოკუმენტთან ერთად უნდა წარადგინოს შემსყიდველთან ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

7.4.5. ამ მუხლის 7.4.3. და 7.4.4. პუნქტებში გათვალისწინებული ვადები იანგარიშება (იწყება) მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებული გამოსაკვლევი მაჩვენებლის შესრულების ვადებით განსაზღვრული ბოლო საათის ამოწურვის დადგომის დღის დამთავრებიდან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის მომსახურების მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2016 წლის 1 თებერვლამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;
16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან"; ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
აიპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"	შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინოეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი"
თემურ თორდინავა დირექტორი	რეზო კობახიძე დირექტორი

მომსახურების ჩამონათვალი და ღირებულება

პროდუქტი	განსასაზღვრი მაჩვენებელი	ერთეული განსაზღვრის ფასი, ლარი	შესრულების ვადები
სურსათი	მაფანმრ	35	72-120 სთ
	ნჩჯგ	35	72-120 სთ
	E. coli	36	72-120 სთ
	S.aureus	35	72-120 სთ
	Proteus	30	72-120 სთ
	B. cereus	40	72-120 სთ
	სულფიტმარედუცირებელი კლოსტრიდიები	32	72-120 სთ
	საფუარის სოკოები	29	120-144 სთ
	ობის სოკოები	29	120-144 სთ
	პათოგენები, მ.შ. სალმონელა	67	72-168 სთ
	პათოგენები, მ.შ. სალმონელა - ბავშვთა კვებისთვის	90	72-168 სთ
	Listeria monocytogenes	120	72-168 სთ
	Enterobacter sakazakii	100	72-120 სთ
	ენტეროკოკები	34	72-120 სთ
	რძემჟავა ბაქტერიები	38	72-120 სთ
	სამრეწველო სტერილობა	70	120-240 სთ
საქონლის ხორცი	სიახლე	25	3 სამუშაო დღე
	ცილა	35	5 სამუშაო დღე
	ცხიმი	25	3 სამუშაო დღე
სურსათი	ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები (გემო, სუნი, ფერი და სხვ)	10	2 სამუშაო დღე
კარაქი	საერთო ცხიმი	30	3 სამუშაო დღე
	რძის ცხიმი	70	5 სამუშაო დღე
	ტენი (წყალი)	20	3 სამუშაო დღე
	გაუცხიმოებული (მოხდილი) რძის მშრალი ნაშთი	20	3 სამუშაო დღე
ხაჭო, არაჟანი, ყველი, რძე, მშრალი რძე, ნაღები, მშრალი ნაღები, შესქელებული რძე, ნაყინი	საერთო ცხიმი	30	3 სამუშაო დღე
	არა რძის ცხიმი	50	5 სამუშაო დღე
ყველი	ტენი და მშრალი ნივთიერებები	25	3 სამუშაო დღე
	სუფრის მარილი	30	5 სამუშაო დღე
მშრალი რძე	ტენი და მშრალი ნივთიერებები	25	3 სამუშაო დღე
მაწონი, იოგურტი, კეფირი (რძემჟავა სასმელები)	საერთო ცხიმი	30	5 სამუშაო დღე
ხაჭო, არაჟანი, მაწონი, იოგურტი, კეფირი (რძემჟავა პროდუქტები)	მჟავიანობა	25	4 სამუშაო დღე

„შემსყიდველი“
ააიპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“

თემურ თორდინავა
დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

რეზო კობახიძე
დირექტორი